№ 267. ორშაბათი, 28 ივლისი · 1896-1897 · ორშაბათი, 28 ივლისი, **№ 267.**

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართეენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და სალამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 336.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით **6** მან., ნახევარის წლით **4** მან.
თითო ნომერი **3** კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ხელის-მოწერა
„ცნობის ფურცელზე“
რედაქციის გარდა მიიღება
ექ. ხელაძის სტამბის კონტორაშიაც
იქვე მიიღება მსურველთაგან განცხადებანი

Торговый домъ
С. П. Павловъ.
Тиф. Лорисъ-Меликовская № 6
Телефонъ 349.

Торговый домъ
С. П. Павловъ.
Тиф. Лорисъ-Меликовская № 6
Телефонъ 349.

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო
საკერავი მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანეთამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს **სამის წლით** თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება **ნაწილ-ნაწილად.**
(100—67 წ.)

უმაღლესად დამტკიცებული საზოგადოება
აზოვის ზღვაოსნობისა
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ წლისა თებერვლიდამ გაიმართა **დრო გამოშვებითი მორიგი მიმოსვლა საბარგო და მგზავრთა გემებისა ოდესა-ბათომს შუა.**
ფასი შემცირებულია როგორც ბარგზე, აგრეთვე მგზავრთათვის
ოდესიდან გამოდის—სამშაბაოობით და პარასკეობით 5 ს. ნაშუად.
ფოთში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით დილით 1 სათ.
ბათომში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით სალ. 10 საათ.
ბათომიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით დღ. 1 საათ.
ფოთიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით სალ. 6 საათ.
ოდესაში მიდის—შაბათობით და სამშაბათობით დილის 10 საათ.

გემები გზა და გზა შეივლიან ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალ ათონში, გუდაუთში, სოჭში, თუაფსეში, ნოვოროსისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში,
ცნობებისათვის მსურველნი მიჰმართავენ:
ტფილისს—საზოგადოების აგენტს ი. ს. რივკინს, ველიამინ. ქ., 3.
ბათომს — — — ი. მ. ვარშავსკის.
ფოთს — — — ა. დ. გუგუშვილის.

Высочъ. Утвер. О-ово Азовск. Параходства
Срочные таваро-пассажирскіе рейсы по удешевленному тарифу между Батумом и Одессой.
Справки у агентовъ О-ва: **Тифлисѣ**=1. Бр. Рывкина, Велямин. 3. **Батумѣ**=Я. М. Варшавскаго и **Поти**=А. Д. Гугушвили.
(50--39)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა.

დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათმდე, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ჯ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

სალამოობით

ა. მ. ზუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Ткфлисъ, противъ памятн. Ворнцову.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე.
შინაგან და ნერვების ავადმოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**
დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ თოფურია**
Лѣчебница *С. В. Тонуріа* въ Кутаисѣ.
(წ.)

მცხეთის წმ. ნინოს დედათა მონასტერში არსებულის საქალებო სასწავლებლის საბჭო აცხადებს, რომ 1 ეკენისთვიდან მიიღებიან მოწაფენი: ამ სკოლის მოსამზადებლის კლასის უცროსსა და უფროსს განყოფილებაში და აგრეთვე I, II, III და IV კლასებში. მოწაფეთა მშობლებმა თხოვნასთან ერთად უნდა წარმოადგინონ მეტრიკის მოწმობა ან მეტრიკის წიგნიდამ ამოწერილობა წლოვანების შესახებ და ამას გარდა მოწმობა ყვავილის აცრისა.

სკოლაში შემდეგ საგნებს ასწავლიან: სამღთო სჯული, რუსულ ენას და მწერლობას, ქართული ენა და მწერლობა, არითმეტიკა, გეოგრაფია, ისტორია, სუფთად წერა, გალობა და ხელ-საქმე (ჭრა-კერვა და ქარგვა). მსურველთ ფრანგულ ენასაც ასწავლიან ზედ-მეტის საფასით. ამ სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ შეუძლიან განაგრძონ სწავლა სხვა საშუალო სასწავლებლებში.

სწავლის ფასი წელიწადში: პანსიონერთათვის —120 მან., ნახევარ პანსიონერთათვის—80 მან., ამას გარდა პანსიონერთა უნდა შემოიტანონ 20 მანეთი თავდა პირველის გამოწყობის ხარჯად. გარედამ მოსიარულეთ სასწავლებლის გამგეობა თითონ მიუთითებს წესიერს ბინას და იქონიებს მათზედ მუდმივს ყურადღებას.

მონასტრის წინამძღვარი, სასწავლებლის უფროსი **ილუმენია ნინა.**

(3—1 უფასო)

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
‹რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.›

26 ივლისი.

ხაბაროვსკი. შეველევის გემი ვლადიმირი“ 21 ივლისს გალსის ქიმთან ქვას დაეჯახა და დაიღუპა. მგზავრები გადაარჩინეს და პოსიეტში მიიყვანეს. გემის გადარჩენა შეუძლებელია.

პარიზი. სამხედრო საზღაურის სრულიად მიღებამდე პორტას ჰსურ და პენეი მის ხელთ ყოფილიყო; სახელმწიფონი თანახმანი არიან, რომ პენეი ოსმალეთის გამგეობის ქვეშ იყოს, ვიდრე საბერძნეთი საზღაურის ერთს მესამედს გარდიხდიდეს და თხოულობენ, რომ მორიგების პირველ დაწყებითს პირობებს ახლავე ხელი მოაწერონ.

ალექსანდრია. ამტკიცებენ, რომ რაბატასა და მახდის შორის კავშირი არსდება ინგლისის ექსპედიციის წინაამდეგათ. ყველა დღემდის მიღებული ცნობა იმას ამტკიცებს, რომ სუდანში უთუოდ დიდი ცვლილება უნდა მოხდეს.

კანეა. რადგანაც კრიტოსელთ შიში აქვთ ჯევათ ფაშას მისიამ ავტონომიას ხელი არ შეუშალოს, კრიტოსის უმთავრეს პროვინციების დეპუტატებმა განაცხადეს, რომ ავტონომიას მივიღებთო. ეს საბუთი პირველი ოფიციალური განცხადებაა სახელმწიფოთა წინაშე, რომ ავტონომიის გეგმა მიღებულ იქმნა.

სტამბოლი. ცამეტსავე მუხლს მორიგებისას გარეშე საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერა; მხოლოდ მე-6 მუხლი დარჩა ხელ-მოუწერელი, რომელიც თესალიიდგან ჯარების გაყვანას შეეხება. ამის შესახებ მალე შეთანხმდებიან.

გრანი. (უნგრეთი). ქალაქი წყალდიდობისაგან დიდს შიშშია. დუნაიში წყალი მატულობს.

* * *

ახალი ამბავი

⁂ **ბუხარის ემირის ჩამოსვლა ტფილისში.** დღეს, სალამოს მათი უმაღლესობა ბუხარის ემირი უნდა ჩამოვიდეს ტფილისში საქართველოს სამხედრო გზით.

⁂ **ავადმყოფების ვაგონები ჩვენს რკინის გზაზე.** რკინის გზის მმართველობას შეუკვეთია და უკვე მზადდება რკინის გზის სახელოსნოში ვაგონები ავადმყოფებისათვის. ჩვეულებრივ მესამე კლასის ვაგონებში გაკეთებული იქნება, თურმე, ცალკე ოთახსავით, ექვსი ავადმყოფისათვის საწოლ ადგილები, რათა ავადმყოფებიც მოსვენებით იყვნენ და მგზავრებიც არ შესწუხდნენ და თავისუფლათ შეეძლოთ ლაპარაკი და სხვა. ამ ვაგონების რიცხვი ამ ჟამად 36, ასე რომ ამ ახლო ხანებში ყოველ მატარებელთან იქნება ვაგონებში განყოფილება ავადმყოფ მგზავრთათვის.

⁂ **ცნობები რუსეთის პირველი 1897 წ. აღწერისა.** წარსულმა აღწერამ აღმოაჩინა, რომ რუსეთში ითვლება, 21,750,000 ქალი 17 წლიდგან 50-მდე; მეძავი ქალები (პროსტიტუტკები)—1,109,000; ბებერი გაუთხოვარი ქალები 147,000; უშვილო ქალები—151,000; მუშა ქალები — 11,600,000; ვისაც გამოურკვეველი საქმიანი — 9,400,000; მათხოვრები 475,000. 1896 წელს ტუსაღების რიცხვი 197,000 იყო, ამათგან 72,000 წინათ ნამყოფი იყვნენ. კერძო კეთილის მყოფელი საზოგადოებები რუსეთში 3,764 ითვლება, ეს საზოგადოებები ყოველ წლივ ხარჯავენ 42,348,000 მანათს საქველ-მოქმედო საგნებზე.

⁂ **ტფილისის მაზრის უფროსს შუამდგომლობა** აღუძრავს გუბერნიის უფროსის წინაშე იმის შესახებ, რომ წელს ტფილისის მაზრის მკვიდრნი განათავისუფლონ ჯარების ბარგის გადატან-გადმოტანის ბეგრიდგან საერთო აღლუმის დროს, რომელიც უნდა მოხდეს 15 აგვისტოდამ —15 ეკენისთვემდე. ბ. მაზრის უფროსის შუამდგომლობა, იმან გამოიწვია, რომ მეტად მოდებულია ამ ჟამად ჭირი მუშა საქონელზე ტფილისის მაზრაში.

ჩინეთის ჭინჭარი ანუ რამი. ამას წინეთ ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, თუ რამდენად სასარგებლო მცენარეა ჩინეთის ჭინჭარი, ანუ რამი, და რამდენი სხვა-და-სხვა დანიშნულება შეიძლება მისცეს კაცმა ამ მცენარეს.

სახელმწიფო ქაღალდების მოსამზადებელის კანცელარიისათვის წარუდგენიათ ჩინეთის ჭინჭარი, რომელიც ბლომად აღმოაჩინეს იაპონელებმა საუფლისწულო მამულში ბათომის მახლობლად, და ხსენებულის კანცელარიის გამგეთ ეგ მცენარე უცნიათ ჩინებულ მასალად ქაღალდისათვის. იქვე იაპონელს აღმოუჩენიათ სხვა ისეთი ხეებიც, რომლებიდგანაც იაპონიაში ქაღალდს ამზადებენ ხოლმე.

⁂ **მოსკოვის უნივერსიტეტში შესვლის მსურველნი.** 15 ივლისიდგან მოსკოვის უნივერსიტეტში 700 მეტი თხოვნაა წარდგენილი მსურველთაგან. ამ თხოვნებიდგან ნახევარი სამედიცინო ფაკულტეტზედ მსურველია; რადგანაც ამ ფაკულტეტზედ წელს მხოლოდ 193 ადგილია თავისუფალი,—როგორც გაზ. ,,Руск. Вѣд.'' ამბობს, სამედიცინოს ფაკულტეტზედ გამოგზავნილი თხოვნები აღარ მიიღება.

⁂ **უბედური შემთხვევა.** 24 ივლისს ღამით ცეცხლი მოეკიდა გემ „არმაის"-ს, რომელიც მიემგზავრებოდა ბაქოდგან აშტრახანში დატვირთული ნავთის მონარჩენით. ცეცხლი გაჩნდა იმ დროს, როდესაც გემზედ მსახურთ ყველას ეძინა, მხოლოდ მორიგ ყარაული იყო ფეხზედ. დაინახა თუ არა ყარაულმა ცეცხლი, მაშინვე მორთო ყვირილი და ზარის რეკა: ,,არიქა თავს უშველეთ, ცეცხლი გაჩნდაო''. გამოეღვიძათ ყველას და ზედ ამოცვივდნენ ვერ გაიღვიძა დროზედ მატროსმა ნიკიტა პოლუშკინმა, რომელსაც უზრუნველად ეძინა. შეერთებულმა ყვირილმა ბოლოს წამოაყენა პოლუშკინიც, უკანასკნელს ვერ წარმოედგინა მარტო რათ არის, ან მისი ამხანაგები სად არიან, როცა მაიგონა ყვირილი: ,,ცეცხლი ცეცხლიო!'' მიხვდა საქმე რაშიც იყო, მოინდომა ზედ ასვლა, კარები კიდეც გააღო, მაგრამ ცეცხლის ალმა ძლიერად გააბრუნა უკან. ტანისამოსს მოედო ცეცხლი და მისი გაქრობის სურვილი უფრო აძლიერებდა ცეცხლს პოლუშკინზე. ამხანაგებს, რომლებსაც ესმოდათ საცოდავის თავგანწირული ყვირილი, არ შეეძლოთ შველა. ნახევარ საათის შემდეგ ცეცხლმა იკლო, ამხანაგები შევიდნენ კამერაში და ნახეს უგრძნობელი პოლუშკინი, ტანისამოსი სულ დაწოდა., სხეული დაეშაშხა ცეცხლს. გემი კაპიტნის ბძანებით უკანვე დაბრუნდა, რომ პოლუშკინი საავადმყოფოში მიეყვანა. მეორე დილით გემი ბაქოში მოვიდა და საავადმყოფოს გადასცა ძალიან დაშავებული პოლუშკინი.

⁂ **147 წლის მოხუცი მამა-კაცი.** სოფ. აკეთში (ოზურგეთის მაზრა) ამ ჟამად სცხოვრობს 147 წლის მოხუცი, გლეხი სიმონ ღლონტი. ამ მათუსალას არასოდეს არ სძულებია მაგარი სასმელები, მაგრამ არც მაინცა და მაინც ეტანებოდა, თურმე, მათ; თამბაქოს დიდის სიამოვნებით ეწევა; არც ერთი კბილი არ აკლია მას და ყველანი მეტად საღი აქვს; თვალის ჩინს, ყურთასმენასა და მეხსიერებას ჯერ არ უმტყუნია მისთვის; მოხუცებული სიმონი თავს არ ანებებს თოხს და დიდის სიამოვნებითა და ხალისით თავის შვილებს მხარს უწევს მუშაობაში.

ამ 30 წლის წინედ მას მეორე ცოლი შეურთავს, ახალგაზდა 20 წლის ქალი. იმისმა მოდგმამ მეოთხე თაობას მიაღწია და სულ 39 სული ქალ-ვაჟია. სიმონის უფროსი შვილი ამ ჟამად 80 წლისაა, თურმე.

ამ ჟამად სიმონ-მოხუცი ცოტა უქეიფოდ არის, თურმე, და ლოგინად ჩავარდნილა, მაგრამ სიკვდილზე მაინც ეზარება და არ უყვარს საუბარი.

საზოგადოდ გურიაში და კერძოდ სოფ. აკეთში, თურმე, ბევრნი არიან ღრმად მოხუცებულნი, მაგრამ სიმონ ღლონტს მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს. (,,ნოვ. ობოზ.'').

⁂ **ქ. ქუთაისი. გაქცევა ჯვარის წერის დროს.** აქ ერთი უცნაური საქმე ჩაიდინა ერთმა ახალგაზდა ყმაწვილმა კაცმა ა. ო—ზოვმა. ა. ო—ზოვს პირობა მიუცია, თურმე, ერთის ყმაწვილ ქალისათვის ცოლ-ქმრობაზე (ქალი ობოლია და ღარიბი). მის შემდეგ კარგა ხანს გაუვლია და ახალგაზდებს ,,სხვა-და-სხვა მიზეზების" გამო ჯვარი ვერ დაუწერიათ. შეყვარებულები-კი ერთმანერთს ხშირად ნახულობდნენ, თურმე... დედამ შენიშნა თავისს ქალსა და სასიძოს რაღაც არა ჩვეულებრივი მდგომარეობა და სირცხვილის ასაცდენად ჯვარის წერა დააჩქარა. ქვრივს 300 მანათი ფულად უნდა მიეცა სიძისათვის, მაგრამ რადგან ეს ფული მთლად ვერ შეეგროვნა—100 მანათი თამასუქით მიუთვლია.

ჯვრის დაწერა გადასწყვიტეს 23 ამ თვისათვის. ოთხშაბათ ღამეს (ქალი და ვაჟი სომხები არიან), პირველი საათი გახდა; ქალი და ვაჟი მორთულებია; ეკკლესია გაჩაღებულია; ტერტერა მზადაა და ეკკლესიის ეზო აუარებელის ხალხით სავსეა. ყველა ჩვეულებრივის ცნობისმოყვარეობით მოელიან მეფე-დედოფალს. გავიდა მეორე საათიც და ზოგს ძილი მოერია და ზოგსაც მოსწყინდა ამდენი ხნის ლოდინი... ზოგიერთებმა-კი ხმა დაავდეს ხალხში, რომ სწორედ მეფე-დედოფალი პატარა ხის ეკკლესიაში წავიდოდნენ ჯვრის დასაწერადაო... სწორედ ამ დროს ვიღამაც მოიტანა საკვირველი ამბავი: ,,სიძე გაქცეულაო!'' შეიქნა ხალხში ერთი აურ-ზაური, სიცილ-ხარხარი და ერთი ამბავი... ამასობაში ხალხიც დაიშალა... რა იყო მიზეზი ა. ო—ზოვის ამ ნაირი ქცევისა არვინ იცის. ა. ო—ზოვი დღესაც არსად სჩანს და. არც არავინ იცის სად არის. ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს საბრალო საქორწილოდ მომზადებული მორთული ქალი...

ქუთაისელი.

⁂ **დ. ხონი. ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა.** ამ ჟამად დაბა ხონში მოდის შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: ,,ცნობის ფურცელი'' 9 ეგზემპლიარი, ,,ივერია'' 8, ,,ნოვოე ობოზრ.'' 6, ,,კავკაზი'' 5, ,,კვალი'' 4, ,,მოამბე'' 2, ,,რუსკი ვედომოსტი'' 2, ,,რუსკაია მისლ'' 2, ,,მირბოჟ'' 2, ,,ტფ. ლისტ.'' 1, ,,პეტერბურგსკია ვედომოსტი'' 1, ,,რუსკოე ბოგატსტვო'' 1, „ვრაჩი" 1 ეგზემპ.

⁂ **ს. სორტა** (სამეგრელო). **გზის უქონლობა და სრული უყურადღებობა.** ძველ-სენაკიდგან ს. კოტიანეთისკენ მიდის და ს. სორტას გვერდს ჩაუვლის უხსოვრის დროიდგან არსებული, ეგრედ წოდებული, „თემიშარა", ესე იგი, თემის გზა, რომელზედაც ურიცხვი ხალხი მიმოდის ყოველ-დღე, ნამეტნავად კი კვირა დღესასწაულებში და იარმუკობის დროს. რომ ნახოთ მგზავრი ამ ჯოჯოხეთის გზაზედ, სწორედ შეგეცოდვებათ: წარმოიდგინეთ მუხლამდი ტალახში ამოსვრილი ადამიანი, რომელიც ტანჯვა-წვალებით ჰფონავს ამ ძნელად გასასვლელს და უყურადღებოდ მიტოვებულს გზას.

ჩააწევს თუ არა ვაი-ვაგლახით სენაკთან ახლო, იქ გახლავთ ერთი რუ სახელდობრ, ,,ნახური'', რასაკვირველია, ამ წყლის საშუალებით სენაკში შედის ისე, ვითომც მშრალ გზა-ტკეცილზე გაევლოს და არასფერი ტანჯვა არ ენახოს—ამასკი უცხო ვინმე იფიქრებს და არა შინაურები რომლებმაც კარგად იციან ამ გზის ავ-კარგიანობა. საქმეს რომ მორჩება, შემდეგ ისევ ამ გზას უნდა დაადგეს ძალა-უნებურად, რადგანაც ეხლა გზა რა მოეპოება. ხსენებული გზის სიძნელე ძველი-სენაკიდგან მოკიდებული, ვიდრე ორი ვერსის მანძილამდისაა, შემდეგ-კი რამდენიც უნდა იარონ, ფეხი არ დაუსველდება, რადგანაც მთა-გორაკიანი ადგილებია.

როგორც მახსოვს, 1894 წელში რამოდენიმე პირებმა სხვა-და-სხვა წოდებისამ განიზრახეს ამ გზის შეკეთება და კიდევაც მიჰმართეს თხოვნით ბ-ნ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, რომ ეს ერთად-ერთი სათემო გზა თქვენის ბრძანებით გაკეთებული იქმნასო. თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და ბრძანებაც მიიღო ადგილობრივმა ადმინისტრაციამ, რომ დაუყონებლივ შესდგომოდნენ ამ საქმის განხორციელებას. გუბერნატორის ბრძანების სისრულეში მოყვანას იმ დღესვე შეუდგნენ.

რასაკვირველია, ამ საქმის შესრულებას მამასახლისი შეუდგა, ალბათ ადგილობრივ ბოქაულის ბრძანებით, მაგრამ ასე გასინჯეთ 1894—წ.-გან დღემდის სამი წელიწადი სრულდება და უსაქიროესი საქმეს ბოლო აღარსად უჩანს. ურიგო არ იქნება, რომ ეს დიდი ხნის მივიწყებული საქმე სისრულეში მოიყვანოს ვისიც ჯერ არს და საზოგადოების კანონიერი სურვილი აღსრულდეს...

თ. სორტელი.

⁂ **დ. ახალ-სენაკი. სასულიერო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი.** „ცნობის ფურცელში" უკვე გვქონდა მოხსენებული რიცხვი სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში კურს დამთავრებულთა. ახლა მოგვყავს მთლათ გვარებიცა. I ხარისხით: ჩოჩია ვლადიმერს, ქარჩავა ტერენტი, ჯაკობია ლეონტი, მაღნარაძე გიორგი და ხორავა ლეონტი; II ხარისხი: მაღნარაძე პავლე, კუხალაიშვილი ამბროსი, ლაბახუა ვლადიმერი, სამხარაძე მიხეილი, თ-დი დადიანი მათე, ცომაია დავითი, სოსელია ილია, უჩანეიშვილი ფორფირე; III ხარისხი:თ ძველაია თეოდორე, ჭანტურია აკაკი, ხვიტია ვარლამ, ძიძავა სპირიდონ და ხუბუტია ლევან. უკანასკნელ 9 შაგირდს გარდა ყველას შეუძლია, სასწავლებლის მმართველების-მიერ ბოძებულის რეკომენდაციის ძალით, შევიდნენ ტფილისისა და ქუთაისის სემინარიებში, მხოლოდ წინასწარ ეგზამენები უნდა დაიჭირონ. ხოლო უეგზამენოდ შეუძლიათ რუსეთის ყველა სემინარიებში შევიდნენ.

როგორც წინა წლების გამოცდილებით ვიცით, ქუთაისისა და ტფილისის სემინარიებში ეგზამენით შესვლა სოფელ ყმაწვილ კაცებისათვის ძალიან ძნელია. ათში ორ-სამ კაცს თუ იღებენ. დანარჩენები იძულებულნი არიან ან რუსეთში წავიდნენ, ან შინ დარჩნენ და სასულიერო სასწავლებელში მიღებულ სწავლას დასჯერდნენ. მაგრამ ჩვენის მღვდლების ხელმოკლეობა მოგეხსენებათ. არამცთუ რუსეთში, ქუთაისში ჩასასვლელ ფულის მოხერხებაც არა აქვს უმრავლესობას.

სასურველია, სამღვდელოების კრებაზე ამ მწვავე კითხვის შესახებ ლაპარაკს აღძრავდნენ და მთავრობასა სთხოვდნენ, რომ ტფილისის და ქუთაისის სემინარიებში შაგირდებს ძველებურის წესით იღებდნენ, ე. ი. უეგზამენოდ. თორემ ასე თუ გაგრძელდა, ჩვენებურს სამღვდელოებას $^{2}/_{3}$ თავისი ბავშვებისა უსწავლელად დაურჩებათ.

ამ ჟამად სენაკის სასულიერო სასწავლებელში სულ 259 მოსწავლეა, მათს შორის ერთი ბერძენი და 55 ერისკაცთა შვილები.

თეატრის მატიანე

ელეონორა დუზეს პატივის ცემა. დუზეს გამარჯვებამ და სახელმა პარიზში შემდეგი სიტყვა გამოიწვია ვენეციის ქალაქის საბჭოში.

,,თქვენ, უეჭველია, გაგიკვირდებათ რომ სიტყვა უნდა ჩამოვაგდო ისეთი საგანზედ, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენს კრებულთან. საგანი შეეხება ხელოვნებას. ქალი, რომელიც ითვლება ამ ქალაქის შვილად, შვილი ჩვენის ერისა, უბრალო, თავდაჭერილი, მოკრძალებული არსება დღეს იმარჯვებს პარიზის სცენაზედ; გაიმარჯვა მან პარიზში, იმ ქალაქში, რომელიც სამართლიანად ითვლება საგანძურად გამოჩენილთა და მსოფლიო არტისტთა. ამ ქალმა სახელი და დიდება მოუპოვა იტალიას, მან მეტი შრომა-ღვაწლი დასდო იტალიის განდიდებას, ვიდრე ყველა ჩვენმა დიპლომატებმა. ელეონორა დუზემ გაარღვია ჩინეთის კედელი უნდობლობისა და ეჭვებისა ჩვენსა და ფრანგებ შორის აშენებული და ისეთი მავნებელი, როგორც ჩვენთვის, ისე ფრანგებისათვის. ის აღტაცება, რომელიც დუზემ გამოიწვია ფრანგებში, თავდებია მისა, რომ ჩვენში ამას იქით ურთი-ერთ შორის პატივის ცემა და სიყვარული დამყარდება. ამიტომ ვსთხოვ ვენეციის საბჭოს, გაუგზავნოთ სალამი ელეონორა დუზეს, გამოვუცხადოთ ჩვენი გაკვირვება და ჩვენი მადლობა მისთვის, რომ მან ასახელა საფრანგეთში ჩვენი ხელოვნება, ჩვენი სამშობლო და ჩვენი ვენეცია!''

წინადადება მიღებულ იქმნა საერთოდ და გადაეცა დეპეშით პარიზში.

მსწრაფლ მბეჭდავი
☞ სტამბა ☜
ექვთიმე ივ. ხელაძისა
არსებობს 1873 წლიდან.
ქ. თფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ქაშვეთის ეკკლესიის შენობაში;
სტამბა იღებს ყოველ გვარ დასაბეჭდ საქმეებს
მაგალ. გაზეთებს, წიგნებს, ბროშიურებს, აფიშებს, კანტორსკის წიგნებს, ორდერებს ფერადი კრასკით, განცხადებებს, პრეისკურანტებს, საანგარიშო წიგნებს, ადრესებს, ღვინის ეტიკეტებს სხვა და სხვა ფერ კრასკით, ქორწილის ბილეთებს, სადარბაზო ბარათებს, სასტუმრო კარტოჩკებს, კონცერტის და თეატრის პროგრამებს და სხვა და სხვას.
სტამბას აქვს შეძენილი მრავალგვარი ასოები და სურათები.
წიგნების და ბროშურების შეკვრას, დახაზვას, დაჩხვლეტას, დანომვრას კისრულობს სტამბა.
აგრეთვე სტამბას ჰყავს გამოცდილი სტამბის მმართველი და კორრექტურის გამსწორებელი.
სტამბა მცირედ ფასათ იღებს ყოველ გვარ დასაბეჭდ საქმეებს.
დროზედ საქმის შესრულებას და სისუფთავეზედ პირობას იძლევა სტამბა.—მსურველთ შეუძლიან პირდაპირ მიმართონ ხელაძეს სტამბის კანტორაში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Іюля 1897 г. სტამბა ექ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.